დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქეთევან დედოფლის გამზირი N16, თბილისი, 0103, საქართველო
ვებ-გვერდი	https://ssu.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	08.05.2015 (გადაწყვეტილება N9)
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 29 ივლისი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	19
ბაკალავრიატი	11
მაგისტრატურა	6
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	2
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	17
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	810	48	-
ბაკალავრიატი	747	26	-
მაგისტრატურა	48	18	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	15	4	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	3	5	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	187
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**54**
- პროფესორი	18
- ასოცირებული პროფესორი	31
- ასისტენტ პროფესორი	-
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**0**
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**40**
- აფილირებული პროფესორი	13
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	22
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**63**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**70**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	571 695.00 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5 995.00 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	565 700.00 კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 მაისის MES 9 20 00398747 ბრძანების თანახმად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში, 2020 წლის 4 მაისის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №364066) წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, 2020 წლის 14 თებერვლის №1 სხდომის ოქმში ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციების შესრულებისა და ინსტიტუციის ავტორიზაციის შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფის, რომელმაც განახორციელა შეფასება მონიტორინგის ფარგლებში. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა გეგმიური განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში (2019 წლის 13-14 დეკემბერი) გაცემული რეკომენდაციების და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ინსტიტუციის შესაბამისობის შეფასებით 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 3.2, 4.1, 5.1, 5.2, 6.1, 6.2, 6.3, 7.2, 7.3 და 7.4 სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებით. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა უნივერსიტეტიდან, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. აღსანიშნავია, რომ არსებული ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამო ვერ განხორციელდა ვიზიტი უნივერსტიტეტში, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია შეფასების განხორციელებისას.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: __13-14 დეკემბერი, 2019 წელი (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება - 2020 წლის 14 თებერვალი)___

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2. წარმოდგენილ იქნას სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში	ნაწილობრივ შესრულებულია. რჩება კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი დოკუმენტები.
2.1. - სსუ-მა გადახედოს დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურული ერთული ასახოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ასევე დებულებაში განსაზღვროს ამ სტუქტურული ერთეულის ფუნქციები.	ნაწილობრივ შესრულებულია. რჩება უნივერსიტეტის დებულებაში აისახოს უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელი ერთეულის ფუნქციები. ასევე, რეკომენდაციად რჩება ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდა.

- სსუ-მ იზრუნოს უახლოეს მომავალში დანერგოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა; - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მიმართებაში დებულებაში გასწორდეს ჩანაწერი და ის განისაზღვროს ან მართვის ორგანოდ ან ადმინისტრაციულ ერთეულად; - ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე. უზრუნველყოს უფრო მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, როგორც სტუდენტებთან მიმართებით, ასევე პერსონალთან დაკავშირებით.	
2.2. - ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა; - სტუდენტთა კონტინგენტი დაიგეგმოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად.	ნაწილობრივ შესრულებულია, რჩება კვლევის ანგარიში
2.3. - შემოწმდეს პლაგიატზე ყველა ტიპის სამეცნიერო ნაშრომი; - განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად.	ნაწილობრივ შესრულებულია, რჩება ეთიკის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილება. კერძოდ, ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის ეთიკის კოდექსის სტანდარტების გაწერა
3.2. - გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, რათა ტექნიკური შეცდომები იქნას გასწორებული; - უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამების კატალოგები და განათავსოს ვებ-გვერდზე. გასწორდეს ვებ-გვერდის გაუმართაობა, ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში.	რეკომენდაციები გათვალისწინებულია, დარჩენილია სილაბუსებში ტექნიკური შეცდომების გასწორება და პროგრამების კატალოგის ინგლისური ვერსიის ატვირთვა საიტზე.
4.1. - მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა; - ყოველწლიურად მოხდეს ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება; - სტუდენტების გამოკითხვები აუცილებლად ჩატარდეს მხოლოდ ანონიმურად.	შესრულებულია
4.2. გამოსწორდეს ტექნიკური შეცდომა საათობრივი დატვირთვის ცხრილში.	შესრულებულია
5.1. დაზუსტდეს რა მექანიზმით ხდება სტუდენტების საჩივრების განხილვა აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით.	ნაწილობრივ შესრულებულია, საჭიროებს გასაჩივრების მექანიზმების დახვეწას.
5.2. დაზუსტდეს რამდენ უცხოურ სასწავლო დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული	ნაწილობრივ შესრულებულია

მემორანდუმი უსდ-ს და როგორია სტუდენტთა მონაწილეობის სტატისტიკა.	
6.1. - ყურადღება მიექცეს სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას; - მოხდეს დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში.	შესრულებულია
6.2. შეიქმნას სამეცნიერო კვლევით ცენტრში არ გაწევრიანებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი.	შესრულებულია
6.3. - შემუშავებულ იქნას კვლევითი საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი და მოხდეს მისი იმპლემენტაცია; - პერიოდულად გამოქვეყნდეს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე; - სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიშები.	შესრულებულია
7.2. გადამზადდეს ბიბლიოთეკის პერსონალი საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად.	ნაწილობრივ შესრულებულია
7.3. - დაინერგოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა; - გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინტეფეისი; - მოხდეს ვებ გვერდის განახლება და დახვეწა.	ნაწილობრივ შესრულებულია, რჩება ვებ გვერდის განახლება და დახვეწა
7.4. დაწესებულებამ განახორციელოს ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, რომლის მიერ შედგენილი დასკვნები და შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.	ნაწილობრივ შესრულებულია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

-კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი დოკუმენტები;

-უნივერსიტეტის დებულებაში აისახოს უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელი ერთეულის ფუნქციები;

-ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე;

- წარმოდგენილ იქნას საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, სადაც ტექნიკური შეცდომები არის გასწორებული;
- ვებ-გვერდზე პროგრამების კატალოგის ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში;
- უსდ-ს მიერ წარმოდგნილ იქნას ადმინისტრაციის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების დეტალური ანალიზი;
- განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში და დაემატოს ეთიკის კოდექსის სტანდარტი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის;
- დაზუსტდეს უსდ-ს მიერ უცხოურ სასწავლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმების შესაბამისად როგორია სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა;
- დაზუსტდეს რა მექანიზმით ხდება სტუდენტების საჩივრების განხილვა, როგორც ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ბიბლიოთეკის პერსონალის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით პერიოდულად გადამზადებისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ს მიერ დაიგეგმოს (გეგმა-გრაფიკი) და განხორციელდეს ტრენინგები;
- მოხდეს ვებგვერდის განახლება და დახვეწა;
- ფინანსური აუდიტის შედეგად გაკეთებული დასკვნების წარმოდგენა და შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

რჩევები

- უმჯობესი იქნება, თუ თვალსაჩინო გახდება უნივერსიტეტის ცნობადობის შესახებ შემუშავებული კვლევების საკითხები და მის შემუშავებაში ჩართული პირები;
- სასურველია თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარში ჩაემატოს კითხვები ადმინისტრაციის უნივერსიტეტის მიმართ ლოიალურობის დასადგენად;
- სსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის ამსახველ დოკუმენტში ჩაიწეროს დამტკიცების თვე და რიცხვი;
- გაიზარდოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს გატარებული ბევრი აქტივობა, თუმცა კვლევებთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა უცხოეთში;
- დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირებისთვის საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში, სისტემატურად ჩატარდეს თემატური ვებინარები ან სხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების აქტივობები;
- დაევალოს სამეცნიერო კვლევით ცენტრს რეგულარული ანგარიშის შედგენა მის საქმიანობაში ჩართული პირების ვინაობაზე და ჩატარებული კვლევებზე;
- მოხდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება აუდიტორულ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების დოკუმენტში, გვ.2. პუნქტი 4. აუდიტორული მომსახურების მიწოდების განრიგი, კერძოდ, გასწორდეს აუდიტის დასკვნის წარდგენის თარიღი.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ქეთევან აფთარაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2019 წლის დეკემბერში განხორციელებული ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, სსუ-სთვის რეკომენდაციას წარმოადგენდა სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენა. ეს ამოცანებია: -კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმის შემუშავება და ინფორმაციის გავრცელება;

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

-სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაცნობის მიზნით ღონისძიებების ორგანიზება და ამ გეგმების თარგმნა ინგლისურ ენაზე და მათი განთავსება საჯაროდ;
-პერსონალის კმაყოფილების კვლევის მონაცემების დამუშავება და შიდა კომუნიკაციის სისტემის მუშაობა;
-ბიზნეს-უწყვეტობის გეგმის ახალ სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა;
-საქმისწარმოების ოპტიმალური ელექრონული სისტემის შერჩევა;
-სამუშაო სივრცეების მოსაწყობად საჭირო თანამედროვე ინვენტარის შეძენის აუხილებლობის დადგენა;
-უნივერსიტეტის ეზოში შშმ პირებისათვის ავტომობილის სადგმოის გამოყოფა;
-უნივერსიტეტის მიმართ ცნობადობის შესახებ ხარისხობრივი კვლევა;
-ახალი პარტნიორებისა და საერთაშირისო ღონისძიებების შესახებ იფორმაციის მოძიება;
-რეგიონული ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭიროებების დადგენა;
-ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება;
-უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ საქმიანობაში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის/მეთოდოლოგიის დანერგვა;
-ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება;
-პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის მონაწილეობის შესახებ გაცვლით პროგრამებში;
-უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ეფექტური მექნიზმების შემუშავების და უცხოელი აბიტურიენტებისათვის, სწავლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების შეთავაზება;
-სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობს გეგმა და კონფერენციებზე წარსადგენი კვლევითი ნაშრომების რევიზია;
-სასწავლო პროცესისი მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა;
-საორიენტაციო/საინფორმაციო ღონისძიებების ყოველწლიური გეგმის შემუშავება;
-საგრანტო განაცხადის შევსებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება;
-საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში პერსონალის მონაწილეობა;
-საგანამათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი;
-განახლებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მოძიება და შეძენა;
-სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის უზრუნველყოდა ფა საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართვისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება;
-მდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა და კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება;
-სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება;
-ხარისხისა და უსაფრთხოების სისტემების აუდიტი და სტანდარტიზაციის /კვალიფიკაციის შენარჩუნების სწავლება.

სსუ-მ წარმოადგინა 2019-2021წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, რომელიც 2019 წლის 12 დეკემბერით თარიღდება. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მთელი რიგი აქტივობები (ახალი პარტნიორებისა და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება, აუდიტის ჩატარება), რომელთა შესახებ 2019 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშშია მოცემული, მოცემული მომენტისათვის უნდა იყოს შესრულებული, თუმცა უნივერსიტეტის მიერ ეს მასალები სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი, მაგალითად, სსუ-ს მიერ წარმოდგენილ 2019 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში ნათლად ჩანს, რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების შემუშავება მითითებული დროისთვის (2019 წლის 12 დეკემბერი) არის თითქმის დასრულებული და ის განხილვისათვის მმართველი საბჭოს წევრებს გადაეცემა 2020 წლის იანვარში. აღნიშნული საკითხის გამოკვეთის შედეგად, ექპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა უნივერსიტეტიდან ეს დოკუმენტი. მიღებული მასალიდან ჩანს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის მე -2 მუხლი სწორედ კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმს ეხება. ამ მუხლიდან ირკვევა, როგორ ხდება უნივერსიტეტში კადრების მოზიდვის საჭიროების დადგენა და შემდეგ მათი მოზიდვა. მართალია მექანიზმი შემუშავებულია, თუმცა უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ როგორ მუშაობს ეს მექანიზმი პრაქტიკაში.

რაც შეეხება, ბიზნესუწყვეტობის გეგმის ახალ რედაქციას, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 8 ივლისს. 2019 წლის 12 დეკემბერს გაკეთებულ 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში ნათქვამია, რომ აღნიშნული გეგმა გადაგზავნილია მმართველი საბჭოს წევრებთან უკუგებისათვის.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევის შედეგები. მართალია არ არის ამ შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტები, თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევა გასული წლის დეკემბერშია ჩატარებული. ასევე, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულია ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა ტრენინგების საჭიროებებთან დაკავშირებით, სადაც ნათლად ჩანს გამოკვეთილი საჭიროებები ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით. ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება წარმოადგენს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პუნქტს. უნივერსიტეტის მიმართ ცნობადობის შესახებ ხარისხობრივი კვლევის შედეგების დასტურად წარმოდგენილია უნივერსიტეტის Facebook გვერდის სტატისტიკა, რომლის თანახმად ნამდვილად იკვეთება ცნობადობის ზრდის ტენდენცია 2020 წლის 31 იანვარი - 5 ივნისის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალებიდან არ ჩანს ცნობადობის შესახებ ჩატარებული ხარისხობრივი კვლევები რამდენად სრულად მოიცავდა უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებას და ვის მიერ იქნა იგი შემუშავებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი; -პერსონალის მართვის პოლიტიკა; -ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევა; -ტრენინგებზე გამოკითხვა; -საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის Facebook გვერდის სტატისტიკა; -უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები: -კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ამსახველი დოკუმენტები.
რჩევები: -უმჯობესი იქნება, თუ თვალსაჩინო გახდება უნივერსტიტეტის ცნობადობის შესახებ შემუშავებული კვლევების საკითხები და მის შემუშავებაში ჩართული პირები.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაციის თანახმად, სსუ-ს უნდა გადაეხედა დებულებისა და ორგანიზაციული სტრუქტურისათვის და ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურული ერთული უნდა აესახა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ასევე დებულებაში უნდა განსაზღვრულიყო ამ სტუქტურული ერთეულის ფუნქციები. უნივერსიტეტის მიერ წამოდგენილია 2020 წლის მარტში გადამუშავებული დებულება, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის მმართველი ორგანო, ჩართულია უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფაში სრულფასოვნად, რად დასტურდება ამ ერთეულის მიერ განხორციელებული აქტივობებით, თუმცა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ერთეულს. მიუხედავად ამისა, განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე, წარმოდგენილია 2020 წელს გადამუშავებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც ასახულია იურისტის საშტატო ერთეული, რაც ამ დოკუმენტის წინა ვერსიაში არ იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, იურისტის უფლება-მოვალეობები არ არის გაწერილი უნივერსიტეტის დებულებაში.

სსუ-მ იზრუნოს უახლოეს მომავალში დანერგოს ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა - გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტს 2020 წლის 1 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სუს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) სსიპ - საქართველოს ოპერატიულ - ტექნიკურ სააგენტოსთან, რომლის საფუძველზეც მას აქვს eFlow-სთან წვდომის და მომსახურების მხარდაჭერა. ასევე ექსპერტების მიერ გადამოწმდა 2020 წლის 23 მარტს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტში საქმის წარმოება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის eFlow-ს მეშვეობით განხორციელდება 2020 წლის 1 ივლისიდან. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა გადამოწმება იმისა, თუ რამდენად ეხმარება ეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა ინსტიტუციას სტუდენტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაში, სამსახურებს შორის კომუნიკაციაში და სხვა.

რაც შეეხება ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე გაცემულ რეკომენდაციას, უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მზაობას ამ მიმართულებით, რასაც ასაბუთებს ამ საკითხის ასახვით სამოქმედო გეგმაში. ამ გეგმის მიხედვით ინგლისურენოვანი პროგრამების დამატება 2021 წლისათვის იგეგმება. დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტმა წარმოადგინა როგორც ახალი, ასევე რეაკრედიტაციისთვის მომზადებული საგანამანათლებლო პროგრამების (ავიაციის ფინანსები; საჯაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი, ფინანსები; საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია; საფაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია; ინფორმაციული სისტემები ავიაციაში; ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია; საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია) თვითშეფასებები, თუმცა ყველა მათგანის სწავლების ენა არის ქართული. გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მიზნით, წარმოდგენილია ერასმუს+-ის KA1 ფარგლებში პერსონალის და სტუდენტების გაცვლის 2019-2021,22 წლების ორი ხელშეკრულება და იგეგმება კონტაქტების გაფართოება პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან, რასაც ადასტურებს სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის მონიტორინგის დასკვნა ახალი პარტნიორებისა და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ განახლდა მოლაპარაკებები შიჯიაჟუნის კოლეჯთან, ასევე ინდოეთიდან სტუდენტთა მობილობის შესახებ, საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მიღება (ინდოეთი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ხელშეკრულება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის განხორციელების შესახებ;
- საქმისწარმოების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშები (2020წ.)

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის დებულებაში აისახოს უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურის შემადგენელი ერთეულის ფუნქციები;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე.

რჩევები:

- სსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის ამსახველ დოკუმენტში ჩაიწეროს დამტკიცების თვე და რიცხვი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წლის დეკემბერში განხორციელებული ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, სსუ-ს არ ჰქონდა ჩატარებული ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა, თუმცა უსდ-ს მიერ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი და თვითშეფასების ფორმები შემუშავებული და დამტკიცებული იყო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას, წარმოდგენილ იქნა ,,ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევა" , რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის თანამშრომელთა კმაყოფილების საერთო დონის დადგენას, გასაუმჯობესებელი ასპექტების გამოკვეთას. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის უნივერსიტეტის მიმართ ლოიალურობის დასადგენად, სასურველი იქნებოდა, უსდ-ს კითხვარში წარმოდგენილი ჰქონდა კითხვები გრძელვადიან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, გაუწევდნენ თუ არა სსუ-ს რეკომენდაციას, როგორც სამუშაო ადგილს.

სსუ-ს მმართველი საბჭოს სხდომის ოქმის (№24/20, 06.03.2020) თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, 2020 წლის პირველ დეკადაში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წევრებს დაეგზავნა კმაყოფილების კვლევის კითხვარი, Google პლატფორმის გამოყენებით და კითხვარი შეავსო 21-მა თანამშრომელმა (თუმცა კვლევაში მონაწილეთა გამოპასუხების პროცენტი მხოლოდ 30%-ია). ხარისხის სამსახურის უფროსმა სხდომაზე წარადგინა ის კომენტარები/რეკომენდაციები, რომლებიც კითხვარის შევსებისას გამოთქვეს თანამშრომლებმა. გარდა ამისა, უსდ-მ ინდივიდუალურად წარმოადგინა ყველა შევსებული კითხვარი და კვლევის შედეგების დოკუმენტი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არცერთ მათგანში არ არის აღწერილი კვლევის მეთოდოლოგია, არ არის წარმოდგენილი კვლევის შედეგების დეტალური ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები. ამდენად, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების შესაბამისად სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, გაუმჯობესების შესაძლებლობებისა და სტრატეგიის ანგარიშებში ასახვა, რათა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და შიდა ხარისხის უზრუნველყოფისს პროცესების შესაბამისობა PDCA პრინციპთან.

გაცემული რეკომენდაციის თანახმად, უსდ-ს უნდა გადაეხედა სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რათა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა მომხდარიყო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად/გათვალისწინებით. სსუ-ს მიერ ხელახლა წარმოდგენილ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში 2020 წლის 21 იანვარს განხორციელდა ცვლილება და რეკომენდაციის შესაბამისად, შეტანილ იქნა მასში რეკომენდაციის შესაბამისი შესწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მმართველი საბჭოს სხდომის ოქმის (№24/20, 06.03.2020);
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

- ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

- უსდ-ს მიერ წარმოდგნილ იქნას ადმინისტრაციის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების დეტალური ანალიზი.

რჩევები:

- სასურველია თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარში ჩაემატოს კითხვები ადმინისტრაციის უნივერსიტეტის მიმართ ლოიალურობის დასადგენად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წლის დეკემბერში განხორციელებული ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, გარდა სადოქტორო ნაშრომებისა, უნივერსიტეტი არ ახორციელებდა პლაგიატის დადგენას სხვა აკადემიური ნაშრმების შესამოწმებლად. შესაბამისად, შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია პლაგიატზე ყველა ტიპის სამეცნიერო ნაშრომის შემოწმებაზე. უსდ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე სასწავლო წლიდან ყველა სამეცნიერო ნაშრომი უკვე მოწმდება ანტიპლაგიატის URKUND-ის სისტემაში. კერძოდ, სსუ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც 2020 წლის 3 თებერვალს გააფორმა ,,საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017''-თან (მოქმედების ვადა: 31.12.2020); გარდა სადისერტაციო ნაშრომების ანტიპლაგიატის URKUND-ის სისტემაში 2019 წელს შემოწმებისა, ასევე უსდ-მ დამატებით შეამოწმა 2020 წლის იანვარი-მარტის თვეებში სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომები (ჯამში 6 ნაშრომი).

სსუ-ს ასევე შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელშიც აღწერილია დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურები და დისციპლინური სანქციები. მონიტორინგის დასკვნის მიხედვით, არსებული დოკუმენტი არ შეიცავს მსგავს წესებს ადმინისტრაციული პერსონალისათვის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია: ,,განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად''.
სსუ-ს მიერ წარმოდგენილი ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,პერსონალის მხრიდან კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და პროცედურა'' (შინაგანაწესი, მუხლი 11, 12, 13). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სსუ-ს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსის ზოგად დებულებებში (მუხლი 1) განმარტებულია, რომ ეთიკის კოდექსი წარმოადგენს იმ ,,ქცევის წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულება სავალდებულოა, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდგომში - პერსონალი), ასევე სტუდენტებისათვის''. შესაბამისად, უსდ-ს მიერ ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის ეთიკის კოდექსის სტანდარტები არ არის გაწერილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

• ანტიპლაგიატის ხელშეკრულება (№2020-02/55, 03.02.2020); • ანტიპლაგიატის URKUND-ის სისტემაში ნაშრომების შემოწმების შედეგები; • ეთიკის კოდექსი; • შინაგანაწესი.
რეკომენდაციები: • განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში და დაემატოს ეთიკის კოდექსის სტანდარტი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის გეგმიური მონტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა, საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოში ტექნიკური შეცდომები, კერძოდ, საგნები, რომლებიც მოცემულ პროგრამაში არ ისწავლებოდა, მითითებული იყო, როგორც ზოგიერთი საგნის წინაპირობა (მაგალითად, საბაკალავრო პროგრამაში „ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები“ საგნის „ციფრული სისტემების საფუძვლების“ წინაპირობად მითითებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელიც არ წარმოადგენს ამ პროგრამის შემადგენელ საგანს.). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დანართში რეკომენდაციების შესახებ აღნიშნულია შემდეგი გარემოება, რომ უნივერსიტეტის პროგრამებმა რეაკრედიტაციის მიზნით განიცადა განახლება, სადაც სხვა ცვლილებებთან ერთად ეს კონკრეტული საკითხიც მოგვარებულია და აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების ნიშნად წარმოადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოტანილი სააკრედიტაციო განაცხადების ამსახველი დოკუმენტი. ექსპერთა ჯგუფი მიერ გამოთხოვილ იქნა საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ანგარიში. უნივერსიტეტმა ამის საპასუხოდ წარმოადგინა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამების თვითშეფასებები. უნდა აღინიშნოს, რომ ის კონკრეტული ტექნიკური ხარვეზები რომ გამოსწორებულია, ამის ნახვა შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი სილაბუსების შედეგად.

რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამების კატალოგები და განათავსოს ვებ-გვერდზე, შესრულებულია, თუმცა გასწორდეს ვებ-გვერდის გაუმართაობა იმ თვალსაზრიით, რომ ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში, ჯერ კიდევ რჩება შეუსრულებელი. პროგრამების კატალოგის ინგლისური ვერსიის ნაცვლად, იხსნებოდა ქართული ვერსია, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ლინკი, სადაც განთავსებული უნდა ყოფილიყო პროგრამები ინგლისურ ენაზე, თუმცა აღნიშნული პროგრამების ლინკები 29.06.2020 -ის მდგომარეობით, არ არის აქტიური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების რეაკრედიტაციის განაცხადის წერილები;
- პროგრამების თვითშეფასების დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილ იქნას საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, სადაც ტექნიკური შეცდომები არის გასწორებული;
- ვებ-გვერდზე პროგრამების კატალოგის ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის გეგმიური მონტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფის საჭიროება. კერძოდ, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რეზიუმეებში ასახულიყო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები (პუბლიკაციები, გრანტები, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა). ინსტიტუციამ წარმოადგინა პერსონალის განახლებული პირადი საქმეები და შეივსო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციით. რაც შეეხება რეკომენდაციას ,,ყოველწლიურად მოხვდეს ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება", მისი შესახებ ინფორმაცია აღწერილია დასკვნის 2.2 ნაწილში.
სსუ-ს მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა 2019 წლის (შემოდგომა, გაზაფხული) სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასების კვლევის შედეგები, რომლებიც ანონიმურია. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა გამოკითხვა განხორციელდა Google პლატფორმის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის დასკვნის თანახმად, პერსონალის მიმდინარე საათობრივი დატვირთვის ცხრილში აღმოჩნდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მოწვეული მასწავლებელი, თამარ ჟღენტი, ორჯერ იყო შეყვანილი ცხრილში, და ორივეჯერ მისი ჯამური საათობრივი დატვირთვა სსუ-ში და სხვა დაწესებულებაში აღემატება 40 საათს. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გასწორებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- QMS ელექტრონული პლატფორმა.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გეგმიური მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის თანახმად, უნდა დაზუსტებულიყო აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული სტუდენტების საჩივრების განხილვის მექანიზმი. აღნიშნულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტს ინფორმაცია

ასახული აქვს წარმოდგენილ ანგარიშში, თუმცა ექსპერტთა მიერ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით, დაადგინა, რომ სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმებში აღწერილია, თუ როგორ ხდება ცოდნის ობიექტური და გამჭვირვალე შეფასება და სტუდენტის ინტერესების მხარდაჭერა. ცოდნის შეფასების ნაწილი დეტალურადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და გამოცდების ჩატარების წესში, თუმცა აღწერილი არ არის დეტალურად გასაჩივრების მექანიზმები. იგივე ითქმის სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერის ნაწილზე, სადაც ნათქვამია, რომ სტუდენტის კანონიერი უფლებების მხარდაჭერა ხორციელდება დეკანის მიერ, რომელიც შუამავალ რგოლს წარმოადგენს სტუდენტებსა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. ასევე, სტუდენტის უფლებაა მიმართოს რექტორის მოადგილეს ან რექტორსაც კი საჭიროების შემთხვევაში. ექსპერტთა აზრით, სწორედ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მექანიზმები და სტუდენტთა ინტერესების მხარდაჭერის ნაწილი საჭიროებს უფრო დეტალურ აღწერას იმ პროცედურებისა, რასაც სტუდენტი გადის პრობლემის გადაჭრისათვის. კარგი იქნებოდა, თუ უნივერსიტეტს ექნებოდა წარმოდგენილი ამ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტის საჩივარზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოცდების ჩატარების წესი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს რა მექანიზმით ხდება სტუდენტების საჩივრების განხილვა, როგორც ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებიტ, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-ის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ Erasmus+ გაცვლით პროგრამის ფარგლებში ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. მტკიცებულების სახით უსდ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა ვილნიუსის ტექნიკურ (Vilniusi Gediminas technical university) და ESKIŞEHIR-**ის** ტექნიკურ უნივერსიტეტებთან დადებული შეთანხმება (Erasmus+ სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა 2019-2022). გარდა ამისა, სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად იგეგმება კონტაქტების გაფართოება პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან. მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაციის ერთი ნაწილი სტუდენტთა მონაწილეობის სტატისტიკასთან მიმართებით კი კვლავ საჭიროებს დაზუსტებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ERASMUS+ შეთანხმებები (2020-21, 22); • სამოქმედო სამწლიანი გეგმა.
რეკომენდაციები: • დაზუსტდეს უსდ-ს მიერ უცხოურ სასწავლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმების შესაბამისად როგორია სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას და თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას. სსუ-ს მიერ მითითებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლინკები, სადაც ატვირთულია 3 დისერტაცია, რომელიც 2019 წლის დეკემბერშია დაცული. მათგან ორზე წვდომა შესაძლებელია, ხოლო ერთი ითხოვს რეგისტრაციას. წარმოდგენილი ორი ნაშრომი, რომელთა შემოწმება შესაძლებელია, გაფორმებულია შესაბამისი წესების დაცვით და წარმოდგენილი ლიტერატურა მეტწილად თანამედროვე ლიტერატურით შემოიფარგლება. რეკომენდაციას - მოხდეს დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში - უნივერსიტეტმა უპასუხა იმით, რომ 2020 წლის 11 მარტს ჩაატარა ვებინარი, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის თემაზე „Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობები“, ვებინარს პერსონალთან ერთად ესწრებოდნენ უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკის თანამშრომლები, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები და პოსტდოქტორანტები. აღნიშნული აქტივობის ამსახველი მასალა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ლოგიკურია, რომ უნივერსიტეტს შეილება ვერ მოესწრო ერთზე მეტი ვებინარის ჩატარება 60 დღიანი მონიტორინგის ვადაში, თუმცა უნივერსიტეტის მხრიდან სისტემატურად უნდა გაგრძელდეს მსგავსი ტიპის ვებინარები ან სხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების აქტივობები.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ გათვალიწინებულ იქნა ამ ქვესტანდარტში გამოკვეთილი რეკომენდაციები, კვლავ ძალაში რჩება რჩევების ნაწილი და ასევე, ნარატივის სახით ამ ქვესტანდარტში აღწერილი ზოგიერთი დეტალი, კერძოდ: - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2019-2021 წლების დეტალური სამუშაო გეგმა, თუმცა არ მოიპოვება დოკუმენტი მიმდინარე კვლევების ამ გეგმასთან შესაბამისობის შესახებ. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2018-2019 წლების შეჯამების ოქმი, თუმცა ამ კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრულყოფილი. - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემულია სამეცნიერო პერსონალის მიერ შექმნილი სამი მონოგრაფია, მიღებულია ორი პატენტი, სტუდენტები და სამეცნიერო პერსონალის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი კვლევის შედეგები. მაგრამ, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების სიმცირე. ვინაიდან ამ ტიპის სტატიები შედის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობებში, მათი რაოდენობის გაზრდა აუცილებლად მიგვაჩნია როგორც კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის, ასევე სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობა, ისევე როგორც დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები და სასწავლო კვლევითი კომპონენტების დეტალური განხილვა არ იყო გაწერილი ცალკე დოკუმენტის სახით, ეს იწვევდა გარკვეულ ბუნდოვანებას დოქტორანტურის სწავლის შედეგების სრულად მიღწევის შესახებ, რაზეც იყო გაცემული რჩევა. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ამ საკითხის მიმართ მიღებული რჩევა და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე უკვე განთავსებულია 2019 წლის დეკემბერში შემუშავებული დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, სადაც მუხლების მიხედვით გაწერილია: დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესები, სადისერტაციო საბჭო და მისი უფლებამოსილება, სამეცნიერო ხელმძღვანელი, მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომის მიმართ და წინასწარი შეფასება, დისერტაციის დაცვის პროცედურა, ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და დიპლომი, რომელსაც გასცემს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- დაცული დისერტაციების ელექტრონული ვერსიები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- გაიზარდოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა.
- დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირებისთვის საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში, სისტემატურად ჩატარდეს თემატური ვებინარები ან სხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად უნივერსიტეტმა წარმოადგინა გადამუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელშიც როგორც პერსონალის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში, წარმოდგენილია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო და კვლევით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის პრინციპები. ძალაში რჩება რჩევები, რომელიც გაცემული იყო ამ სტანდარტის კომონენტთან მიმართებით, კერძოდ, კვლევების მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ რეგულარული ანგარიშების მომზადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს გატარებული ბევრი აქტივობა, თუმცა კვლევებთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა უცხოეთში.
- დაევალოს სამეცნიერო კვლევით ცენტრს რეგულარული ანგარიშის შედგენა მის საქმიანობაში ჩართული პირების ვინაობაზე და ჩატარებული კვლევებზე.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტში შემუშავებულია შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ატესტაციის ჩატარების წესი, რომელშიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის შეფასება, კერძოდ, მე-8 მუხლი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებით, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული ქულების მიხედვით. კვლავ რეკომენდაციად რჩება ამ მექანიზმის იმპლემენტაცია კვლევითი საქმიანობის შეფასების ჭრილში. თუმცა

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა წამოადგინა აკადემიური პერსონალის ატესტაციის შედეგების შესახებ ბრძანება, გამოცემული 2020 წლის 21 აპრილს. ავტორიზაციის მონიტორინგი დასკვნის პროექტზე არგუმენტირებულ პასუხს უნივერსიტეტმა თან დაურთო აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კითხვარი (ფორმა), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი იმის თაობაზე, რომ ჩატარდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შედეგების გამოკითხვა. ამ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდა, რომ მმართველი საბჭოს სხდომაზე მოხდეს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების საკითხის დეტალური განხილვა. ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის პასუხად იმის შესახებ, რომ სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიშები, უნივერსიტეტმა წარმოადგინა მმართველი საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც 2018- 2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი დოკუმენტია, სადაც წარმოდგენილია ანგარიშები ძირითადად მაგისტრანტების და დოქტორანტების კვლევების შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს ექსპერტების რეკომენდაციას და 2019-2020 წლის ანგარიში იქნება უფრო ინფორმაციული. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მხრიდან არგუმენტირებულ პასუხს თან დაერთო აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ბრძანებები ატესტაციის ჩატარების შესახებ, ატესტაციაში მონაწილე პირთა განცხადებები, მათი სასწავლო სამეცნიერო საქმიანობის აღწერა, შემაჯამებელი ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში გაწეული სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, ბრძანება ატესტაციის შედეგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ატესტაციის წესი; - ბრძანებები ატესტაციის ჩატარების შესახებ; - ატესტაციის ჩატარების განცხადებები; - პერსონალის ატესტაციის ჩატარების აღწერის დოკუმენტები; - პერსონალის ატესტაციის შედეგების შესახებ ბრძანებები; - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს სხდომის ოქმი N47/19.
რეკომენდაციები: -
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ

პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაციას ბიბლიოთეკის პერსონალის გადამზადებისა და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მხრიდან ტრენინგების დაგეგმვის საჭიროებას უპასუხა იმით, რომ 2020 წლის 11 მარტს ჩატარა ვებინარი თემაზე „Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობები“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. ვებინარს პერსონალთან ერთად ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ტრენინგის თემა იყო ELSEVIER-ის წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობებზე წვდომისა და გამოყენების შესაძლებლობები, Scopus-ის, მსოფლიოში ციტირებისა და აბსტრაქტების საერთაშორისო ბაზით სარგებლობის წესები და სტატისტიკურ – ანალიტიკური მონაცემების მოპოვების საშუალებები, Science Direct- სამეცნიერო სტატიების, წყაროებზე წვდომის შესაძლებლობები, Funding Institutional-ის მეშვეობით საერთაშორისო კონკურსებში დაფინანსების მოპოვების გზები. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბიბლიოთეკარის ტრენინგში მონაწილეობა, თუმცა უნივერსიტეტის მხრიდან სისტემატურად უნდა

გაგრძელდეს ბიბლიოთეკის პერსონალის გადამზადება საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ვებინარი თემაზე „Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობები''
რეკომენდაციები: • ბიბლიოთეკის პერსონალის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით პერიოდულად გადამზადებისა და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ს მიერ დაიგეგმოს (გეგმა-გრაფიკი) და განხორციელდეს ტრენინგები
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაცია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, სსუ-ს მიერ შესრულებულია. ამას ადასტურებს ის, რომ უსდ-მ 2020 წლის 1 თებერვალს შეისყიდა (ხელშეკრულება #13, 01.02.2020; ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 01.03.2021) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow) 15 მომხმარებლისთვის. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს eFlow-ს განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრირება. სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია 2020 წლის აპრილში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გამოყენებაში გადამზადებაც (ამოცანა 6, 1.2). უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის ინტერფეისის დახვეწის საჭიროებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია. რეკომენდაციის პასუხად, ხელშეკრულება გაფორმა (# 2020/03/31) შპს „CoolGroup"-დან და ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ აიღო ვალდებულება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ვებ-გვერდისთვის ვიზუალური ინტერფეისის შექმნის თაობაზე. ასევე, დაწესებულების მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი განახლებული ინტერფეისის პროექტიც. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განახლების დასრულება განსაზღვრულია 2020 წლის აგვისტოში. სსუ-ს ვებ გვერდი [http://www.ssu.edu.ge/index.php/ka/] არის ქართულ და ინგლისურენოვანი, თუმცა მონიტორინგის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოიკვეთა ინგლისურენოვანი ვებგვერდის განახლების

საჭიროება. კერძოდ, გამოიყო ქართულ და ინგლისურენოვან ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციის არაიდენტურობის საკითხი და აღინიშნა, რომ ზოგიერთი ჩანართი საერთოდ არ მოიცავს ინფორმაციას.

მონიტორინგის შემდგომ უსდ-ს უკუკავშირში აღნიშნულია, რომ ვებგვერდი განახლდა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგთან მიმართებით რეკომენდაციის შესრულების შესახებ იფორმაცია აღწერილია სტანდარტი 3.2-ში. რაც შეეხება ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, მაგალითად, ქართულ ენაზე იხსნება მარეგულირებელი დოკუმენტები, სიახლეების გვერდი საჭიროებს განახლებას, ასევ არ იხსნება რიგი ჩანართების (მათ შორის, მაგალითად, სტუდენტთა გზამკვლევები). ამდენად, ძალაში რჩება რეკომენდაცია, რომელიც გაცემულ იქნა ვებ გვერდთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელშეკრულება (#13, 01.02.2020) დოკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) შესყიდვის შესახებ;
- მომსახურების ხელშეკრულება # 2020/03/31 სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ვებ-გვერდის ვიზუალური ინტერფეისის შემუშავებაზე;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- მოხდეს ვებგვერდის განახლება და დახვეწა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ დაწესებულებამ განახორციელოს ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, ნაწილობრივ შესრულებულია. ამ სტანდარტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაცია შესრულებულად მხოლოდ აუდიტის დასკვნების წარმოდგენის და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობის შემდეგ ჩაითვლება. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2020 წლის 17 მარტს შპს ბი ეს კონსალტინგთან დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს განახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხელშეკრულებაში ტექნიკური შეცდომაა აუდიტორული მომსახურების მიწოდების განრიგის პუნქტში, რომლის თანახმადაც მომსახურება

იწყება 2020 წლის 1 აპრილიდან და დასკვნის წარდგენა ხდება 2019 წლის 31 ივლისს. ლოგიკურია, რომ დასკვნის წარდგენის თარიღი არის 2020 წლის 31 ივლისი. უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით, წარმოდგენილი დოკუმენტებით არაა ნათელი, დაწყებულია თუ არა ფინანსური აუდიტის პროცესი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განხორციელებულია 2020 წლის 30 აპრილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების მიწოდებაზე; - საგადახდო დავალება.
რეკომენდაციები: - ფინანსური აუდიტის შედეგად გაკეთებული დასკვნების წარმოდგენა და შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
რჩევები: - მოხდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება აუდიტორულ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების დოკუმენტში, გვ.2. პუნქტი 4. აუდიტორული მომსახურების მიწოდების განრიგი, კერძოდ, გასწორდეს აუდიტის დასკვნის წარდგენის თარიღი.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						